# მიღება-ჩაბარების აქტი №1

7 ივნისი 2016 წელი

ქ. თბილისი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, მისი უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონ ა. ტოგონიძის სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ომნესტური“, მისი დირექტორის ი. კუზლაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“) ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სს „ედია არტნერს“ და შპს „ნიტელ ედია როუპ“-თან თანამშრომლობის ფარგლებში „საქართველო-ყაზახეთის საინვესტიციო ბიზნეს ფორუმში“ მონაწილე სტუმრების 6 და 7 ივნისს ტრანსპორტით მომსახურება, ღირებულებით 1928.16 ლარი. (საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 24 მაისის №1-881 ბრძანება).

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური
განვითარების საქალაქო სამსახური
შარტავას 7
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა 42 0330100200165022
ს/კ 204521794

ა. ტოგონიძე
ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს „ომნესტური“
აბესაძის 4
სს "თიბისი ბანკი"
ა/ა GE19TB 1100000011467097
ს/კ 205083648

ი. კუზლაშვილი
ბ.ა

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1– 881

„24" მაისი 2016 წ.

2016 წლის 6 ივნისს „საქართველო-ყაზახეთის საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის" განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების თაობაზე

სს "Media Partners"-ი (ს/კ:404408690) და შპს "United Media Group"-ი (БИН:150640011016), რომლებიც არიან ჟურნალი Forbes-ის ოფიციალური წამრომადგენლები საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკაში („Forbes Georgia" და „Forbes Kazakhstan"), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით 2016 წლის 6 ივნისს მართავს მასშტაბურ საინვეტიციო ღონისძიებას "საქართველო-ყაზახეთის საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი". საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლის 23 მაისს სს "Media Partners"-ის (ს/კ: 404408690) მიერ წარმოდგენილი № 179693/07 განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტორსა და სს "Media Partners"-სა (ს/კ:404408690) და შპს "United Media Group-თან" (БИН:150640011016) თანამშრომლობის ფარგლებში „საქართველო-ყაზახეთის საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის" ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ღონისძიების მონაწილე სტუმრების სასტუმროში განთავსების და ტრანსპორტირების ხარჯი, 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით, გაწეულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" (კოდი: 04 04 ) ასიგნებების ფარგლებში.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხარჯი – 17472,85 ლარი

დავით ნარმანია